



ს ა ა ქ ც ი ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა
არწივის ხეობა

ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

დედოფლისწყარო
2024 წელი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სააქციო საზოგადოება „არწივის ხეობა „
GEORGIA

JOINT-STOCK COMPANY "ARTSIVIS KHEOBA"

დედოფლისწყაროს რ-ნი, ხორნაბუჯი 1601 ტელ 593 308 396; 577 40 11 69 8 356 22 58 93

ელფოსტა artsiviskheoba@mail.ru

Dedoplistskaro vil. Khornabuji 1601 Tel:593 308396: 577 40 11 69; 8 356 22 58 93;

e mail artsiviskheoba@mail.ru

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს არწივის ხეობას ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებულ ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 08 აპრილს.

სს არწივის ხეობა-ს დირექტორი

გელა ბილაშვილი





დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „არწივის ხეობა“-ს აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების (მსს ფასს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების N15 შენიშვნაშია აღწერილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „არწივის ხეობა“-ს სავაჭრო ვალდებულებები 70 081 (სამოცდაათი ათას ოთხმოცდაერთი) ლარია. აქედან 52 391 ლარი დაკავშირებულია 2022 წლის ოპერაციებთან. სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტორის ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ამ ნაშთის არსებობა. ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სავაჭრო ვალდებულებების მუხლში რაიმე კორექტირებების შეტანა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ სს „არწივის ხეობა“-საგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი

მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს „არწივის ხეობა“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს „არწივის ხეობა“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს „არწივის ხეობა“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სს „არწივის ხეობა“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს „არწივის ხეობა“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი

კ. დათიაშვილი

SARAS-A-356681

08.04.2025 წ



სრული შემოსავლებისა ანაგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	4	2 416 213	2 177 469
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	5	(952 193)	(1 120 510)
საერთო მოგება		1 464 020	1 056 959
სხვა შემოსავალი	6	8 925	1 673
ადმინისტრაციული ხარჯი	7	(288 333)	(288 142)
სხვა ხარჯი	8	(1 063)	(48 300)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		1 183 549	722 190
მოგების გადასახადი		(158 225)	(135 316)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1 025 324	586 874
გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის ზრდა		-	350 208
გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის შემცირება		-	(21 715)
მთლიანი სრული შემოსავალი		1 025 324	915 367

დირექტორი

გელა ბილაშვილი

სრული შემოსავლებისა ანაგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	4	2 416 213	2 177 469
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	5	(952 193)	(1 120 510)
საერთო მოგება		1 464 020	1 056 959
სხვა შემოსავალი	6	8 925	1 673
ადმინისტრაციული ხარჯი	7	(288 333)	(288 142)
სხვა ხარჯი	8	(1 063)	(48 300)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		1 183 549	722 190
მოგების გადასახადი		(158 225)	(135 316)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1 025 324	586 874
გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის ზრდა		-	350 208
გადაფასების მოდელით შეფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტის შემცირება		-	(21 715)
მთლიანი სრული შემოსავალი		1 025 324	915 367

დირექტორი



გელა ბილიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2 796 596	2 890 720
არამატერიალური აქტივები	10	42 643	49 451
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2 839 238</u>	<u>2 940 171</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	11	337 673	363 283
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	11 754	18 150
საგადასახადო მოთხოვნები		-	862
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	462 493	204 543
სულ მიმდინარე აქტივები		<u>811 920</u>	<u>586 838</u>
სულ აქტივები		<u>3 651 158</u>	<u>3 527 009</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	410 770	410 770
გადაფასების რეზერვი		2 014 292	2 059 857
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		1 112 512	655 386
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>3 537 574</u>	<u>3 126 013</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	70 224	69 998
საგადასახადო ვალდებულებები	16	43 360	50 526
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	-	280 472
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>113 584</u>	<u>400 996</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>3 651 158</u>	<u>3 527 009</u>

დირექტორი

გელა ბიღიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2 796 596	2 890 720
არამატერიალური აქტივები	10	42 643	49 451
სულ გრძელვადიანი აქტივი		2 839 238	2 940 171
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	11	337 673	363 283
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	11 754	18 150
საგადასახადო მოთხოვნები		-	862
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	462 493	204 543
სულ მიმდინარე აქტივები		811 920	586 838
სულ აქტივები		3 651 158	3 527 009
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	410 770	410 770
გადაფასების რეზერვი		2 014 292	2 059 857
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		1 112 512	655 386
სულ საკუთარი კაპიტალი		3 537 574	3 126 013
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	70 224	69 998
საგადასახადო ვალდებულებები	16	43 360	50 526
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	-	280 472
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		113 584	400 996
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 651 158	3 527 009

დირექტორი



გელა ბილაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
ნაშთი 31.12.2022	410 770	1 769 875	679 842	2 860 487
სააქციო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	586 875	586 875
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგი	-	328 493	-	328 493
გადაფასების რეზერვის კორექტირება	-	(38 512)	38 512	-
დივიდენდი	-	-	(649 842)	(649 842)
ნაშთი 31.12.2023	410 770	2 059 857	655 386	3 126 013
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-	(2 562)	3 145	583
ნაშთი 31.12.2023	410 770	2 057 295	658 531	3 126 597
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	1 025 287	1 025 287
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	(43 003)	43 003	-
დივიდენდი	-	-	(614 310)	(614 310)
ნაშთი 31.12.2024	410 770	2 014 292	1 112 512	3 537 574

დირექტორი

გელა ბილაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
ნაშთი 31.12.2022	410 770	1 769 875	679 842	2 860 487
სააქციო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	586 875	586 875
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგი	-	328 493	-	328 493
გადაფასების რეზერვის კორექტირება	-	(38 512)	38 512	-
დივიდენდი	-	-	(649 842)	(649 842)
ნაშთი 31.12.2023	410 770	2 059 857	655 386	3 126 013
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-	(2 562)	3 145	583
ნაშთი 31.12.2023	410 770	2 057 295	658 531	3 126 597
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	1 025 287	1 025 287
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	(43 003)	43 003	-
დივიდენდი	-	-	(614 310)	(614 310)
ნაშთი 31.12.2024	410 770	2 014 292	1 112 512	3 537 574

დირექტორი



გელა ბილაშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 862 000	2 584 268
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(489 559)	(585 675)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(602 133)	(601 155)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:</i>	1 770 307	1 397 439
გადახდილი მოგების გადასახადი	(158 225)	(135 316)
გადახდილი სხვა გადასახადები	(475 090)	(345 665)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 136 991	916 458
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(2 440)	(2 525)
ძირითადი საშუალებების მიწოდებით მიღებული შემოსავალი		
<i>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	(2 440)	(2 525)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	4 158	1 378
გაცემული დივიდენდი	(880 760)	(764 755)
სავალუტო საკურსო სხვაობის შედეგი	-	4
<i>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	(876 601)	(763 373)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	257 950	150 560
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის დასაწყისისთვის	204 543	53 983
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის ბოლოსთვის	462 493	204 543

12

დირექტორი

გელა ბილიაშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 862 000	2 584 268
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(489 559)	(585 675)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(602 133)	(601 155)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:</i>	1 770 307	1 397 439
გადახდილი მოგების გადასახადი	(158 225)	(135 316)
გადახდილი სხვა გადასახადები	(475 090)	(345 665)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 136 991	916 458
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(2 440)	(2 525)
ძირითადი საშუალებების მიწოდებით მიღებული შემოსავალი		
<i>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	(2 440)	(2 525)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	4 158	1 378
გაცემული დივიდენდი	(880 760)	(764 755)
სავალუტო საკურსო სხვაობის შედეგი	-	4
<i>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	(876 601)	(763 373)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	257 950	150 560
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის დასაწყისისთვის	204 543	53 983
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის ბოლოსთვის	462 493	204 543

12

დირექტორი



გელა ბილიაშვილი

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს **სს არწივის ხეობას** წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი.

სს არწივის ხეობა (შემდეგში „საწარმო“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 1996 წლის 30 აგვისტოდან (რეგისტრაციის N60/5-245; საიდენტიფიკაციო ნომერი 228518805) და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ხორნაბუჯი.

სს არწივის ხეობა საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ეწევა სამთო მოპოვებით სამუშაოებს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას და გადამუშავებას საშენიან საგნების (ქვიშა-ხრემის) წარმოების მიზნით. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის საწარმო აქტივების, მარაგების შეძენა-რეალიზაციას ახორციელებდა როგორც რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ საწარმოებთან თანამშრომლობით. საწარმოს საქმიანობა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით.

სს არწივის ხეობა დააფუძნა 53 აქციონერმა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „საწარმოს“ ყავს 45 აქციონერი. საწარმოს აქციათა პაკეტი შედგება 41077 ჩვეულებრივი სახელობითი აქციით, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებ შეადგენს 10 ლარს, საწარმოს მფლობელებს სააქციო კაპიტალი შევსებული აქვს და მათ კაპიტალის შევსების ვალდებულება არ აკისრიათ. 2024 წელს აქციონერთა რეესტრში ცვლილება არ განხორციელებულა.

2. მომზადების საფუძველი

სს არწივის ხეობას 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება არის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში მოტანილია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ით, ასევე მოიცავს 2023 წლის შესადარის ინფორმაციას.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის პროგნოზირებად მომავალში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც საწარმომ გამოიყენა 2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ეფუძნება მსს ფასს სტანდარტს. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების

ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

3.1 შესაბამისობის პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

3.2 შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელსაც მათი მოხდენის თარიღი მიეკუთვნება. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად საწარმო ხარჯის სახით აღიარებს საიჯარო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მათ შორის, ცვეთას. იჯარით გაცემული აქტივებისთვის გამოყენებული ცვეთის პოლიტიკა იდენტურია სხვა ანალოგიური აქტივებისთვის გამოყენებული ჩვეულებრივი ცვეთის პოლიტიკის.

3.3 ამონაგების აღიარება

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. მესამე მხარის სახელით მიღებული თანხები, როგორიცაა მაგ. დამატებითი ღირებულების გადასახადი, არ მიეკუთვნება ამონაგებს.

3.4 უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების თარიღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სპოტ სავალუტო კურსის მიხედვით.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებულ ფულად მუხლებს წარადგენს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საწარმო არ ფლობს უცხოურ ქვედანაყოფში დაბანდებული ინვესტიციას. შესაბამისად საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით) და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

3.6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც საწარმომ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად საწარმოს მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით) და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	3-5%
მანქანა-დანადგარები	10-15%
საოფისე აღჭურვილობა	20-30%
ავეჯი და მოწყობილობები	10-20%
სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
სხვა ძირითადი საშუალებები	5-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმო აანალიზებს ცვეთის გამოყენებულ მეთოდს და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმო შეცვლის აქტივის ცვეთის მეთოდს, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად, გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივების შემდგომი შეფასება ხდება დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებულ

სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3.10 მარაგი

საწარმოს მარაგი შეფასებულია მის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. .

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდის ღირებულების ფორმულას.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურებულია, საწარმო მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3.11 მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასახდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენტთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ მის ფასს სტანდარტი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება დასაქმებული პირების მიერ მისი ფუნქციის შესრულება.

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის საანგარიშგებო პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი.

მიმდინარე გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით და ჩაირთვება საანგარიშგებო პერიოდის მოგების ან ზარალის თანხაში. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით საწარმოები ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების

გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად.

პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოები-საგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ „გადასახადებში“, და არა მოგების გადასახადში.

საგადასახადო კანონმდებლობით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად განაწილებული მოგების განსაზღვრის ფაქტი გამორიცხავს გადავადებული მოგების გადასახადისა (აქტივის) და შესაბამისი ხარჯის (შემოსავლის) აღიარებას.

3.13 დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

3.14 სააქციო კაპიტალი

საწარმოს სააქციო კაპიტალის ფორმირება ხორციელდება აქციონერთა მიერ ფულადი და არაფულადი შენატანების საფუძველზე. ამასთან, არაფულადი შენატანი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ობიექტების, აგრეთვე სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის სახით. საწარმოს განთავსებული აქვს 41077 ჩვეულებრივი სახელობითი აქციები, რომელთა (თითოეული) ნომინალური ღირებულება შეადგენს 10 (ათ) ლარს.

4. ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
1 შემოსავალი საქონლის რეალიზაციით	2 414 043	2 177 469
2 სხვა მარაგის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	2 170	-
ჯამი:	2 416 213	2 177 469

5. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	31.12.2024	31.12.2023
1 პირველადი გადამუშავების საქონელი	-	84 383
2 გადამამუშავებელი კირქვა	-	77
3 ღორღი 4-8 მმ	130 240	115 992
4 ქვიშა 0-4 დაბალი ხარისხი	763 927	858 021
5 კირქვის ფქვილი ფრ.0-3 მმ	55 856	62 037
6 ჯართი	2 170	-
ჯამი:	952 193	1 120 510

6. სხვა შემოსავალი

	31.12.2024	31.12.2023
1 საპროცენტო შემოსავალი	4 665	1 571
2 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4 260	102
ჯამი:	8 925	1 673

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	157 205	161 838
ხელფასთან გათანაბრებული განაცემები	17 936	17 419
საპენსიო ხარჯები	2 497	3 023
ბანკის მომსახურების ხარჯი	407	448
საწვავის ხარჯი	4 074	5 083
ექსპერტიზის ხარჯები	1 560	864
აუდოტორული მომსახურების ხარჯი	25 424	16 949
სანოტარო მომსახურების ხარჯი	560	1 229
წარმომადგენლობითი ხარჯი	454	704
საჯარო რეესტრის მომსახურების ხარჯი	239	440
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	224	204
მივლინების ხარჯი	1 200	1 135
კომუნიკაციის ხარჯები	4 447	3 851
ელ.ენერგიის ხარჯი	8 753	10 437
დაზღვევის ხარჯი	905	838
მიმდინარე რემონტის ხარჯი	2 564	3 950
ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ხარჯი	133	365
კომპიუტერის ხარჯები	807	549
საკანცელარიო ხარჯი	837	1 277
საქართველოს ფოსტის მომსახურების ხარჯი	138	243
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	20 838	22 787
სხვა საგადასახადო ხარჯი	31 893	31 885
სხვა საერთო ხარჯი	5 239	2 624
ჯამი:	288 333	288 142

8. სხვა ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
1 საქველმოქმედო ხარჯი	158	-
2 ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	903	-
3 ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგი	-	45 245
4 სხვა არასაოპერაციო ხარჯი	2	3 055
ჯამი:	1 063	48 300

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი (ისტორიული)								
ღირებულება								
ნაშთი: 31.12.2022	560 800	7 126	474 155	706 766	26 217	12 214	1 067 967	2 855 245
შემოსვლა	-	-	-	9 493	492	1 170	-	11 155
არსებული ცვეთის გაუქმება გადაფასების შედეგად 31.12.2023	-	-	(45 200)	(80 034)	-	-	(103 150)	(228 384)
გადაფასების ნამეტი 31.12.2023	52 600	-	102 292	107 011	-	-	21 346	283 249
გასვლა/რეკლასიფიკაცია	-	(7 126)	-	-	-	-	(4 463)	(11 589)
ნაშთი: 31.12.2023	613 400	-	531 247	743 236	26 709	13 384	981 700	2 909 676
შემოსვლა	-	-	-	754	694	1 400	-	2 848
გასვლა	-	-	-	(1 000)	-	-	-	(1 000)
ნაშთი: 31.12.2024	613 400	-	531 247	742 990	27 403	14 785	981 700	2 911 525
აღიარებული								
ცვეთა								
ნაშთი: 01.01.2022	-	-	29 807	52 419	12 751	3 078	61 128	159 183
ცვეთის დარიცხვა	-	-	15 668	27 615	2 386	466	42 022	88 157
არსებული ცვეთის გაუქმება გადაფასების შედეგად 31.12.2023	-	-	(45 200)	(80 034)	-	-	(103 150)	(228 384)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი: 31.12.2023	-	-	275	-	15 137	3 544	-	18 956
ცვეთის დარიცხვა	-	-	18 727	33 383	1 725	766	41 470	96 070
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	(97)	-	-	-	(97)
ნაშთი: 31.12.2024	-	-	19 003	33 286	16 862	4 310	41 470	114 930
საბალანსო ღირებულება								
სნდ-31.12.2023	613 400	-	530 972	743 236	11 572	9 840	981 700	2 890 720
სნდ-31.12.2024	613 400	-	512 245	709 704	10 541	10 475	940 230	2 796 596

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები ბალანსში ასახულია გადაფასებული ღირებულებით. ბოლო გადაფასება განხორციელებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი და სხვა ინვენტარი ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

საწარმოს დაწყებული აქვს დავა 2021 წლის 31 დეკემბერს შეძენილ ექსკავატორთან დაკავშირებით. მომწოდებელთან დავა მიმდინარეობს გაყალბებული მონაცემების გამო. შეძენილი ნივთის სამარკო მონაცემები არ ემთხვევა ფაქტიურს. აღნიშნული ექსკავატორის ფაქტიური გამოყენება კომპანიის მხრიდან ვერ ხორციელდება ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის, ექსკავატორის ნარჩენი ღირებულება 182600 ლარია.

2012 წლის მაისიდან დღემდე - საწარმოს დაწყებული აქვს დავა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტოს წინააღმდეგ 9 სართულიანი საერთო საცხოვრებლის ტიპის შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით, რომელიც კანონიერი საფუძვლის გარეშე, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა. მოთხოვნილი ზარალის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 2 590 000 ლარს.

10. არამატერიალური აქტივები

საწყისი (ისტორიული) ღირებულება	ლიცენზიები	ჰაბურდილის ლიცენზია	საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ ჯამი
31.12.2022 წელი	146 853	221	4 707	151 781
შემოსვლა	-	-	-	=
გასვლა	-	-	-	=
31.12.2023 წელი	146 853	221	4 707	151 781
შემოსვლა	-	-	-	=
გასვლა	-	-	-	=
31.12.2024 წელი	146 853	221	4 707	151 781.33
აღიარებული ამორტიზაცია				
31.12.2022 წელი	91 993	17	4 597	96 607
პერიოდის დარიცხვა	5 654	5	65	5 723
გასვლა - ჩამოწერა	-	-	-	=
31.12.2023 წელი	97 647	22	4 662	102 330.35
პერიოდის დარიცხვა	6 768	10	29	6 808
გასვლა - ჩამოწერა	-	-	-	=
31.12.2024 წელი	104 415.34	32.41	4 690.99	109 138.74
საბალანსო ღირებულება				
31.12.2023 წელი	49 206	199	46	49 451
31.12.2024 წელი	42 438	189	16	42 643

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ამორტიზაციის თანხის გამოკლებით.

11. მარაგი (სასქონლო - მატერიალური ფასეულობა)

	31.12.2024	31.12.2023
1 მედლეული და მასალები	9 952	9 947
2 მზა პროდუქცია	33 917	57 536
3 სათადარიგო ნაწილები	280 201	278 163
4 ჯართი	8 440	6 350
5 სხვა სამეურნეო დანიშნულების მარაგი	5 162	11 287
ჯამი:	337 673	363 283

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
1 სავაჭრო მოთხოვნები	105 876	105 979
2 საექვო მოთხოვნების რეზერვი	(104 330)	(103 539)
3 გადახდილი ავანსები	1 979	1 929
4 წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	7 500	13 559
5 საპროცენტო მოთხოვნები	729	222
ჯამი:	11 754	18 150

13. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
1 ფული საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში	219 100	153 884
2 ფული საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში- დეპოზიტურ ანგარიშზე	243 019	50 361
3 ფული საბანკო ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	117	119
4 ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	257	179
ჯამი:	462 493	204 543

14. სააქციო კაპიტალი

სს არწივის ხეობას რეგისტრირებული სააქციო კაპიტალი შესადგენს 410770 ლარს, რომლიდანაც 2024 წელს შევსებული ქონდა 410770 ლარით, ნომინალური ღირებულებით 1 აქცია 10 ლარი, გამოცხადებული და განთავსებული სააქციო კაპიტალი სრულად შევსებულია 2024 წლის ბოლოსათვის. აქციონერებს სააქციო კაპიტალის შევსების ვალდებულება არ ერიცხებათ.

	31.12.2024	31.12.2023
წესდებით განსაზღვრული - დათქმული სააქციო კაპიტალი	410 770	410 770
დათქმული სააქციო კაპიტალის გაზრდა-შემცირება	-	-
მოთხოვნა სააქციო კაპიტალის შევსებაზე	-	-
	410 770	410 770

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
1 სავაჭრო ვალდებულებები	70 081	68 645
2 მიღებული ავანსები	143	1 353
ჯამი:	70 224	69 998

16. საგადასახადო ვალდებულება

	31.12.2024	31.12.2023
1 მოგების გადასახადი გადასახადი	565	12 230
2 საშემოსავლო გადასახადი	5	33
3 გადასახდელი დღგ	34 265	27 949
4 ქონების გადასახდი	492	-
5 ბუნებრივი რესურსების გადასახდი	21 554	10 314
6 სხვა საგადასახადო ვალდებულება	(13 522)	-
ჯამი:	43 360	50 526

საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები შედგება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ბიუჯეტის გადასახადების ნეტო ღირებულებისაგან.

17. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
1 გადასახდელი განაწილებული დივიდენდი	-	280 472
ჯამი:	-	280 472

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) სს არწივის ხეობას მაკონტროლებელი ურთიერთობები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის 100%-ის მფლობელია 45 აქციონერი, ფიზიკური პირი. საწარმოს აქციათა პაკეტი შედგება 41077 ჩვეულებრივი სახელობითი აქციით, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებ შეადგენს 10 ლარს.

ბ) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	31.12.2024	31.12.2023
1 სამეთვალყურეო საბჭო	141 968	142 659
2 დირექტორი	33 720	33 720
ჯამი:	175 688	176 379

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

სამეთვალყურეო საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 8 აპრილს.

სს „არწივის ხეობა“-ს
დირექტორი:
გელა ზილიაშვილი

16. საგადასახადო ვალდებულება

	31.12.2024	31.12.2023
1 მოგების გადასახადი გადასახადი	565	12 230
2 საშემოსავლო გადასახადი	5	33
3 გადასახდელი დღგ	34 265	27 949
4 ქონების გადასახდი	492	-
5 ბუნებრივი რესურსების გადასახდი	21 554	10 314
6 სხვა საგადასახადო ვალდებულება	(13 522)	-
ჯამი:	43 360	50 526

საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები შედგება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ბიუჯეტის გადასახადების ნეტო ღირებულებისაგან.

17. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
1 გადასახდელი განაწილებული დივიდენდი	-	280 472
ჯამი:	-	280 472

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) სს არწივის ხეობას მაკონტროლებელი ურთიერთობები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის 100%-ის მფლობელია 45 აქციონერი, ფიზიკური პირი. საწარმოს აქციათა პაკეტი შედგება 41077 ჩვეულებრივი სახელობითი აქციით, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებ შუადგენს 10 ლარს.

ბ) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	31.12.2024	31.12.2023
1 სამეთვალყურეო საბჭო	141 968	142 659
2 დირექტორი	33 720	33 720
ჯამი:	175 688	176 379

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

სამეთვალყურეო საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 8 აპრილს.

სს „არწივის ხეობა“-ს

დირექტორი:

გელა ბილაშვილი

